გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერებისა
და კულტურის ორგანიზაცია

კულტურულ ფასეულობათა
დაცვისა და რესტავრაციის
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ლურჯი ფარის
საქართველოს
ეროვნული კომიტეტი

მემკვიდრეობა საფრთხის ქვეშ

მემკვიდრეობის კოლექციების საგანგებო ევაკუაცია

გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერებისა
და კულტურის ორგანიზაცია

კულტურულ ფასეულობათა
დაცვისა და რესტავრაციის
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ლურჯი ფარის
საქართველოს
ეროვნული კომიტეტი

მემკვიდრეობა საფრთხის ქვეშ

მემკვიდრეობის კოლექციების საგანგებო ევაკუაცია

გამოცემულია 2018 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო UNESCO) 7, Place de Fontenoy, 75352 პარიზი 07 SP, საფრანგეთი; კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (იკრომი ICCROM) Via di San Michele 13, 00153 რომი, იტალია და ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის (თანაგამომცემელი, თბილისი, საქართველო) მიერ.

© UNESCO, ICCROM, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2018

ISBN 978-92-3-000052-3

გამოცემა ხელმისაწვდომია Attribution ShareAlike3.0 IGO (CCBYSA3.0IGO) საჯარო მონაცემთა ბაზაში. ლიცენზია: (http://creativecommons.org/licenses/bysa/3.0/igo/). პუბლიკაციის შიგთავსის გამოყენებისას მომხმარებელი ვალდებულია, შეასრულოს UNESCOს საჯარო მონაცემთა ბაზის გამოყენების პირობები (http://www.unesco.org/open access/termsuseccbysaen).

ორიგინალის სახელწოდება: Endangered Heritage Emergency Evacuation of Heritage Collections
გამოცემულია 2016 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა (იუნესკო UNESCO) და კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (იკრომი ICCROM) მიერ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალები და მოცემული მითითებები არ გულისხმობს UNESCOს მხრიდან რაიმე სახის მოსაზრების გამოხატვას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის, ადგილის ან მისი ხელისუფლების იურიდიული სტატუსის ან მათი საზღვრების დადგენის შესახებ.

პუბლიკაციაში მოცემული მოსაზრებები და იდეები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და არ გამოხატავს UNESCOს პოზიციას.

თანაავტორთა გუნდი:

კონცეფცია და ინგლისური ტექსტი	აპარნა ტანდონი, ICCROM
ინფორმაციის დიზაინი და ვიზუალიზაცია	მარა კალერ და ქრისტოფერ მალაპიტან Visuality
კვლევა	ჯენი კრეტე და ალესია სტროცი, ICCROM ამირა სადიკ, ჰაბატ ალა აბდელჰამიდ, დალია ჰასან და სარა ნორ, EHRF (ეგვიპტის მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდი);
კოორდინირება	კატრინ ანტომარკი, ჯენიფერ კაპიტორნი, აპარნა ტანდონი და იზაბელ ვერჟერი, ICCROM ნაო ჰაიაში, UNESCO
ქართულად თარგმნა:	რუსუდან ძიგრაშვილმა;
ქართული ტექსტის რედაქტორები:	მანანა გოშაძე, მანანა თევზაძე, მარიამ კალხიტაშვილი;
ქართული ტექსტი დააკაბადონა:	ნინო კუბლაშვილმა

UNESCO-ს წინასიტყვაობა

UNESCO 1945 წელს, II მსოფლიო ომის დამანგრეველი და გამანადგურებელი მოვლენების შემდგომ, იმ რწმენით შეიქმნა, რომ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება მხოლოდ იმ ქალთა და მამაკაცთა გონებაშია შესაძლებელი, რომელთათვისაც ძირითადი ფასეულობებია ღირსება, თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა.

მუზეუმი იდეალური სივრცეა ამ ხედვის გასაზიარებლად. მუზეუმი დღეს აღარ არის მხოლოდ ცოდნის ტაძარი და ძვირფასი ხელოვნების ნიმუშების საცავი, დღეს მუზეუმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განათლების, სოციალური ერთობისა და მდგრადი განვითარების საქმეში; ხელს უწყობენ რა ინტელექტუალურ ურთიერთგაცვლასა და შემოქმედებითობას და წარმოგვიდგებიან იდენტობის სიმბოლოებად. საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, რომ მუზეუმები მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ საზოგადოებისათვის. ბოლო წლებში კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ჩვენი საერთო მიზნის მიღწევა. ამას ადასტურებს 2015 წლის ნოემბერში UNESCOს წევრი ქვეყნების მიერ მიღებული „რეკომენდაცია მუზეუმებისა და კოლექციების დაცვისა და მათი მრავალფეროვნებისა და საზოგადოებრივი როლის გაძლიერების შესახებ“. ამავე საკითხზე გლობალური რეკომენდაცია ბოლოს 55 წლის წინ, 1960 წელს, მიიღეს.

გასული ათწლეულების მანძილზე მუზეუმები და მემკვიდრეობის დამცველი დაწესებულებები არა ერთხელ იქცნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის სამიზნედ. როდესაც საფრთხე ემუქრება მუზეუმების მთავარ ფუნქციას დაიცვას წარსულისა და კაცობრიობის შემოქმედებითობის მემატიანე ექსპონატები, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ და დავიცვათ მათი ფუნდამენტური ღირებულება, კულტურათაშორისი დიალოგი და ურთიერთგაგება. გარდა ამისა, მუზეუმებსა და მათ თანამშრომლებს მრავალი სირთულის გადატანა მოუხდათ ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების გამო.

UNESCO და მისი მრავალწლიანი პარტნიორი ICCROM საერთაშორისო მემკვიდრეობის საზოგადოებასთან ერთად ცდილობს გააძლიეროს და გაზარდოს მუზეუმების ქმედუნარიანობა სხვადასხვა საგანგებო სიტუაციასთან გამკლავების მიზნით. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ UNESCOს, მისი წევრი ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოების მთავარი გამოწვევაა, უზრუნველყოს ქალთა ჩართულობა მემკვიდრეობის დაცვის, მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალთა ჩართულობა საგანგებო სიტუაციების დროს იქ, სადაც ეს შესაძლებელია. სასურველია კონტექსტუალური მიდგომა და ყველა მხარის ჩართულობა, რაც შემდგომში განაპირობებს ისეთ ეროვნულ პოლიტიკას, რომელშიც გენდერთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული იქნება.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული გზამკვლევი ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს უპასუხებს.

რატომ ეს გზამკვლევი?

შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ძალიან რთული და ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიში საქმეა. მიუხედავად ამისა, ხშირად საზოგადოება, რომელიც საომარ ვითარებაშია მოქცეული, გამბედაობას იჩენს და იცავს საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას, ვინაიდან ავბედობისა და განუკითხაობის დროს მემკვიდრეობა მათ უწყვეტობისა და სტაბილურობის განცდას ანიჭებს. თემის მიერ მართული კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაციის წარმატებული მაგალითია ტიმბუქტუს ხელნაწერთა კოლექციის გადარჩენა 2013 წლის მალის კონფლიქტის დროს.

მოცემული გზამკვლევი შეიქმნა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დაგროვდა ICCROM-ის საგანმანათლებლო ინიციატივის ფარგლებში - „კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარება კრიზისის დროს“. მასში დეტალურად არის აღწერილი ექსტრემალურ პირობებში კოლექციების ევაკუაციის თითოეული ეტაპი. გზამკვლევის მიზანია დაეხმაროს იმ თემსა და დაწესებულებებს, რომლებსაც კრიზისულ ვითარებაში უწევთ მუშაობა, რათა კულტურული ობიექტები ძარცვისა და განადგურებისაგან დაიცვან. ამ გზამკვლევის საშუალებით შესაძლებელია მონაწილეთა გადამზადება, რათა უზრუნველვყოთ კატასტროფებისათვის მზადყოფნა ყველგან, სადაც კულტურული მემკვიდრეობაა.

ვინაიდან ორი ერთმანეთის მსგავსი საგანგებო სიტუაცია არ არსებობს, გზამკვლევი აღწერს იმ აუცილებელ მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელიც, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს და მოერგოს არსებულ ვითარებას.

გამომცემლები მადლობას უხდიან ეგვიპტური მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდს, EHRF-ს, ქაიროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციას. სწორედ აქ მოხდა გზამკვლევში მოცემული მოქმედებათა ჯაჭვის საველე ტესტირება. EHRF-ი არის 97 ქალისა და მამაკაცისაგან შემდგარი გუნდი, რომელმაც კრიზისში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი დახმარების სპეციალური გადამზადება გაიარა. 2014 წელს გუნდი გამოიძახეს ქაიროს ისლამური ხელოვნების მუზეუმის კოლექციების გადასარჩენად მას შემდეგ, რაც მიმდებარე პოლიციის განყოფილებაში ბომბი აფეთქდა.

გამომცემლები მაქსიმალურად ეცადნენ, რომ გზამკვლევში აქტუალური ინფორმაციისათვის მოეყარათ თავი. მიუხედავად ამისა, იგი განიხილება, როგორც მუდმივად განახლებადი დოკუმენტი და გამომცემლები ელიან მომხმარებელთა უკუკავშირს.

როდის არის საჭირო ევაკუაცია?

ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომ უნდა მოხდეს საფრთხეში მყოფი კოლექციის ან ობიექტების ევაკუაცია მუზეუმიდან ან არქეოლოგიური ძეგლიდან. დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ქმედება შესაძლოა, უფრო საზიანო აღმოჩნდეს კულტურული მემკვიდრეობისათვის. ამიტომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ შემდეგი ფაქტორების საფუძველზე უნდა იქნას მიღებული:

- საფრთხე რეალურად არსებობს;
- უკვე მიღებული ზომები ვერ უზრუნველყოფს კოლექციის უსაფრთხოებას;
- არსებობს უფრო დაცული საცავი კოლექციის შესანახად;
- ფლობთ ოფიციალურ ნებართვას ობიექტების გადაადგილებისა და ევაკუაციის შესახებ;
- გაქვთ საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსები იმისათვის, რომ გადააადგილოთ საფრთხეში მყოფი ექსპონატები;
- უზრუნველყოფილია ამ ოპერაციაში ჩართული ადამიანების დაცულობა და მათ საფრთხე არ ემუქრებათ.

როგორ ხდება ევაკუაცია?

შემდგომ თავებში განვიხილავთ ევაკუაციის მოქმედებათა ჯაჭვს:

1. შეფასება;
2. მომზადება;
3. დოკუმენტირება, შეფუთვა და გატანა;
4. გადაადგილება და შენახვა.

მოქმედებათა ჯაჭვი



შეფასება

1. შეაფასეთ საფრთხე;
2. მოახდინეთ საფრთხის შეჩერება;
3. განსაზღვრეთ ექსპონატების პრიორიტეტულობა.



1 შეაფასეთ საფრთხე

რამდენად რეალურია ის?

თავდაპირველად კონკრეტულად გააანალიზეთ, რა საფრთხე ემუქრება დაწესებულებას, მაგალითად: წყალდიდობა, ამბოხი. ხშირად ადგილმდებარეობის გამო დაწესებულება შეიძლება უფრო მოწყვლადი გახდეს კონკრეტული საფრთხის მიმართ. მაგალითად, თუ ძალადობრივი საზოგადოებრივი არეულობა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზეა, საფრთხის ქვეშ დგება მუზეუმის უსაფრთხოება. ასეთ შემთხვევაში მუზეუმის თანამშრომლები ჩათვლიან, რომ ვანდალიზმისა და ძარცვის საფრთხე რეალურია და იწყებენ საჭირო ზომების მიღებას. იგივე შეიძლება ითქვას არქეოლოგიურ ძეგლზეც, თუ ის ახლოს იმყოფება წყალთან, რომელიც ადიდებულია.



2 მოახდინეთ საფრთხის შეჩერება

შეაფერხეთ საფრთხე ან თავიდან აიცილეთ მისი გავრცელება

მას შემდეგ, რაც დაადგენთ, რომ საშიშროება რეალურია, მიიღეთ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ეფექტურად შეაჩეროთ მისი შემოღწევა კონკრეტულ სივრცეში. მიღებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს საფრთხეს.

მაგალითად, თუ მუზეუმი უნდა დავიცვათ შეიარაღებული მძარცველე-ბისგან, ასეთ შემთხვევაში საჭიროა:

- დაცვის თანამშრომლების დამატებითი გამოძახება მუზეუმის შენობის დასაცავად;
- ცემენტის ბარიერების განლაგება მუზეუმის შენობის გარშემო და/ან კარებისა და ფანჯრების აჭედვა, რაც შეაფერხებს შემოჭრას.

თუ გარკვეული მიზეზების გამო მუზეუმი ვერ შეძლებს ამგვარი ზომების მიღებას, ასეთ შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ როგორც თანამშრომელთა, ასევე კოლექციების ევაკუაცია.

3 განსაზღვრეთ ექსპონატების პრიორიტეტულობა

შეადგინეთ საევაკუაციო ექსპონატების სია.

შეადგინეთ პრიორიტეტულ ექსპონატთა სია.

დაეკითხეთ ხელმძღვანელ პირს ან სამუზეუმო კოლექციების მცველს ან გადაამოწმეთ ადრინდელი დოკუმენტაცია, რომ გამოავლინოთ ყველაზე ღირებული ექსპონატები, რომელთა ევაკუაციაც პირველ რიგში უნდა მოხდეს. ასეთი ობიექტები ადვილად რომ ამოიცნოთ, გვერდით ფურცლის პატარა ნაჭრები დაუწყვეთ.

თუ თითოეული ექსპონატის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა, ისეთი სია შეადგინეთ, რომელშიც პირველ რიგში ის ობიექტები იქნება ჩამოწერილი, რომლებსაც მეტად ემუქრება კონკრეტული საფრთხე.

ამისათვის საჭიროა, უბრალოდ განსაზღვროთ დაწესებულებაში საფრთხის შემოღწევის სავარაუდო მიმართულება და აღრიცხოთ ყველა ის ექსპონატი, რომელიც მასთან ახლოს იმყოფება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ასეთი საგნების ადვილად ამოსაცნობად, მათ გვერდით პატარა ფურცლები დაუწყვეთ.

.



მაგალითად: თუ ვარაუდობთ, რომ შეიარაღებული მძარცველები ცენტრალური შემოსასვლელიდან შემოვლენ, ყველა ის ექსპონატი, რომელიც შესასვლელთან მდებარეობს, სავარაუდოდ დაზიანდება ან გაიძარცვება.

ფრთხილად: ზოგ სიტუაციაში რთულია, განსაზღვრო საიდან და რა მიმართულებით მოემართება საფრთხე. მაგალითისთვის, არქეოლოგიურ ძეგლზე, რომელიც კონფლიქტის ზონაში მდებარეობს, შეტევა ნებისმიერი მხრიდან შეიძლება განხორციელდეს.

როგორ უნდა განვსაზღვროთ ექსპონატების პრიორიტეტულობა, თუ არ ვიცით მათი ღირებულება და არც საფრთხის შემოსვლის მიმართულება?

თუ არ ვიცით რისკის ქვეშ მყოფი ექსპონატების ღირებულება და საფრთხის შემოსვლის ტრაექტორია, პრიორიტეტების სია შემდეგი კრიტერიუმებით შეგვიძლია ჩამოვწეროთ:

ა) ექსპონატის მასალა

ორგანული მასალები, როგორებიცაა: ქაღალდი, ხე, ქსოვილი, ჩვეულებრივ უფრო ადვილად ზიანდება ცეცხლის, წყლის ან ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებებისაგან. ფიზიკური ზეწოლის შედეგად კი მარტივად ზიანდება არაორგანული მასალები, მაგალითად: მინა, ფაიფური და თიხა. ამგვარად, ორგანული მასალისა და არაორგანული მსხვრევადი მასალის საგნები პირველ რიგში უნდა გადავინახოთ.

ბ) ექსპონატის ზომა და წონა

დიდი მოცულობისა და წონის ექსპონატების გადაადგილებისათვის შესაძლოა, საკმარისი დრო და რესურსი არ დაგრჩეთ, მაგალითად, მოზაიკის ფასადი ან კედლისხელა ზეთის ტილო. ასეთი ექსპონატები ადგილზევე საიმედოდ უნდა გავამაგროთ.

მომზადება

1. მოამზადეთ უსაფრთხო ადგილი და მარშრუტი;
2. მოამზადეთ ნებართვა;
3. შექმენით გუნდი;
4. დანომრეთ ობიექტები და მიანიჭეთ ადგილმდებარეობათა კოდები;
5. მოამზადეთ საგანგებო ევაკუაციის უწყისი;
6. მოიმარაგეთ საჭირო მასალები;
7. მოამზადეთ სამუშაო სივრცე;
8. უზრუნველყავით უსაფრთხო ტრანსპორტირება.



1 მოამზადეთ უსაფრთხო ადგილი და მარშრუტი

მონახეთ დაცული ადგილი და დაადგინეთ უსაფრთხო მარშრუტი

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ, თუ რა რაოდენობისა და ტიპის ობიექტების ევაკუაცია უნდა მოხდეს, იპოვნეთ დაცული სივრცე, სადაც დროებით შეინახავთ მათ. ასეთი ადგილის შერჩევისას დარწმუნდით, რომ:

1. სივრცე საკმარისი მოცულობისაა, რომ დაიტიოს არსებული რაოდენობის ექსპონატები;
2. ადგილი დეზინფიცირებულია და პარაზიტებისა თუ ობისგან სუფთაა;
3. ადგილი ნიავდება და არ არის ნესტიანი ან ტენიანი;
4. დაცულია ძარცვისა და ვანდალიზმისაგან;
5. სივრცე უკავშირდება იმ გასასვლელს, საიდანაც მოხდება ექსპონატების უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს გარკვეული დროით მათი ამ სივრცეში დატოვება.

ფრთხილად: გამოცდილებამ აჩვენა, რომ ექსპონატების გადაადგილების შემდეგ შესაძლოა ისინი რამდენიმე წელი ინახებოდეს დროებით საცავში. სივრცის შერჩევისას მხედველობაში იქონიეთ ეს გამოცდილება.

2 მოამზადეთ ნებართვა

უსაფრთხო სივრცის შერჩევის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურებისაგან მოიპოვეთ ოფიციალური ნებართვა ექსპონატების ევაკუაციისა და დროებითი გადაადგილების შესახებ.

3 შექმენით გუნდი

დააკომპლექტეთ ჯგუფი, რომელიც შეასრულებს სამუშაოებს

ჯგუფში უნდა შედიოდნენ ის ოფიციალური პირები, რომელთა უშუალო დაქვემდებარებაშია საფრთხეში მყოფი კოლექცია. გუნდს უნდა ჰყავდეს ლიდერი, რომელიც გუნდის წევრებს განუმარტავს საქმიანობის მოცულობასა და მიზნებს და გადაუნაწილებს მათ შესასრულებელ ამოცანებს. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს:

- დოკუმენტირება;
- შეფუთვა;
- ტრანსპორტირება;
- დროებითი საცავის მოწყობა.

ფრთხილად: წარმატებული ოპერაციისათვის გადამწყვეტია კომუნიკაცია და გუნდის წევრების კოორდინირებული მუშაობა, რომლებიც სხვადასხვა საქმეს ასრულებენ. აუცილებლად გამონახეთ კომუნიკაციის ეფექტური და უსაფრთხო გზები, რომ ოპერაცია არ შეფერხდეს.

როგორ გავაუმჯობესოთ გუნდის წევრებს შორის კოორდინაცია?

1. გუნდი დაყავით მცირე ზომის ჯგუფებად და გადაუნაწილეთ კონკრეტული დავალებები;
2. დარწმუნდით, რომ თითოეულ გუნდში არის ერთი ლიდერი, რომელიც იქნება მთავარი საკონტაქტო პირი;
3. გუნდის ლიდერებს სთხოვეთ, რეგულარულად მოგაწოდონ ინფორმაცია მათი გუნდის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
4. შეიმუშავეთ დოკუმენტაციის ისეთი საერთო მეთოდი, რომელიც ხელს შეუწყობს გუნდის კოორდინირებულ მუშაობას.

4 დანომრეთ ობიექტები და მიანიჭეთ ადგილმდებარეობათა კოდები

თითოეულ ექსპონატს მიანიჭეთ უნიკალური ნომერი და განსაზღვრეთ მათი ადგილმდებარეობა

- ექსპონატის გადაადგილებამდე მიანიჭეთ მას უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რათა მარტივად ადევნოთ თვალი მის გადაადგილებას ოპერაციის მანძილზე. დარწმუნდით, რომ ევაკუაციისთვის შექმნილი დანომვრის სისტემა მარტივად გასაგებია ყველა ჩართული პირისთვის. ეს შეიძლება იყოს ციფრები ზრდის მიხედვით ან ციფრებისა და ასოების კომბინაცია, მაგალითად, C32, ამ შემთხვევაში ასო C დაწესებულების დასახელებაზე მიგვანიშნებს.

ფრთხილად: უმეტეს შემთხვევაში ობიექტებს უკვე მინიჭებული აქვთ ნომრები მფლობელი დაწესებულების მიერ (ზოგჯერ - ერთზე მეტი ნომერიც კი). საგანგებო ევაკუაციის რეესტრში ყველა ადრე მინიჭებული ნომერიც უნდა იყოს მითითებული (გვ. 22).

- ექსპონატებს მიანიჭეთ ადგილმდებარეობის კოდები. ეს კოდები, ძირითადად, ანბანისა და ციფრებისგან შედგება და გამოიყენება მოცემულ სივრცეში ექსპონატის მოსაძებნად. ჩვეულებრივ, არსებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ადგილმდებარეობის კოდებს, თუ ასე არ არის, თქვენ თვითონ შექმენით მაქსიმალურად მარტივი კოდირების სისტემა.

რჩევა: როგორ მივანიჭოთ ადგილმდებარეობის კოდები ექსპონატებს?

კოდი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- დაწესებულების სახელის კოდს (ასოები);
- სართულის მაჩვენებელს (გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ექსპონატები სხვადასხვა სართულზეა განლაგებული);
- ოთახის ნომერს;
- კარადის ან თაროს ნომერს.

მაგალითი: კოდი ნომერ 128 ექსპონატისა, რომელიც ინახება Craft Gallery-ში და მდებარეობს A კარადაში, ნომერ 1-ლ ოთახში, ცოკოლის სართულზე, იქნება: CG.0.1.A.128

- ობიექტს მიაკარით ეტიკეტი, რომელზეც აღნიშნული იქნება მინიჭებული უნიკალური ნომერი და ადგილმდებარეობის კოდი.

ფრთხილად: ეტიკეტების მისამაგრებლად არ გამოიყენოთ წებოვანი ლენტი ან სტეპლერი.

- გადაუღეთ ფოტო იმ თაროს, კარადასა და ოთახს, სადაც ინახება ევაკუაციისათვის გამზადებული ექსპონატები. დარწმუნდით, რომ ეტიკეტები კარგად ჩანს ფოტოზე. ასევე შეგიძლიათ დახაზოთ სართულის გეგმა, ბოძები და ღიობები ათვლის წერტილებად გამოიყენოთ, დაიტანოთ მასზე ევაკუაციისათვის გამზადებული საგნები იმ სახით, როგორც ფიზიკურად აწყვია და დააწეროთ ადგილმდებარეობის კოდები გეგმაზე. თუ ექსპონატები კედლებზეა გამოფენილი, ჩახატეთ კედელი და მასზე დაწერეთ ექსპონატების ადგილმდებარეობის კოდები.



5 მოამზადეთ საგანგებო ევაკუაციის უწყისი

ევაკუაციისათვის წინასწარ მოამზადეთ უწყისი

თუ არსებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, ის დაგეხმარებათ ამ ამოცანის შესრულებაში. საგანგებო ევაკუაციის უწყისი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ველებს:

ნუმერაცია	ადრინდელი ნომერი	მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი	ექსპონატის ტიპი	მასალა	მოცულობა: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე	წონა	თავდაპირველი ადგილმდებარეობის კოდი	ფოტოს ან სართულის გეგმის ნომერი	ახალი მდებარეობა	ფოტოს ან სართულის გეგმის ნომერი

ევაკუირებული საგნების რაოდენობა. იწერება რიცხვები ზრდის მიხედვით, დაწყებული პირველიდან ბოლო ექსპონატის ჩათვლით.

აქ იწერება ექსპონატის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ევაკუაციისათვის მიენიჭა.

ამ გრაფაში მოკლედ აღწერეთ ექსპონატი: მაგ.: ილუსტრირებული ხელნაწერი, ქანდაკება, ჭურჭელი.

რისგან არის შექმნილი ექსპონატი: მაგ.: მინა, კერამიკა, მეტალი, ქსოვილი.

ჩაწერეთ ექსპონატის წონა. თუ სასწორი არ გაქვთ, წონის აღსანიშნავად გამოიყენეთ სიმბოლოები. მაგ.: თუ ექსპონატის გადაადგილებას ერთი ადამიანი შეძლებს, მიუთითეთ +, თუ ორი ადამიანი დასჭირდება ++, ხოლო თუ სპეციალური დანადგარია საჭირო მის ასაწევად და გასატანად, მიუთითეთ +++

მიუთითეთ თავდაპირველი ადგილმდებარეობის კოდი, როგორც აღწერილია მე-4 მოქმედებაში.

ეს გრაფა მას შემდეგ ივსება, რაც ევაკუაცია დასრულებულია და ობიექტები გადატანილია დაცულ სივრცეში.

ყველა ფოტოსა და სართულის გეგმას უნდა მიენიჭოს ნომერი.

6 მოიმარაგეთ საჭირო მასალები

მოაგროვეთ ყველა საჭირო მასალა ექსპონატების დოკუმენტირების, მათთან ფიზიკურად შეხების, შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვისთვის. დარწმუნდით, რომ ევაკუაციის გუნდისათვის ხელმისაწვდომია პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა: ნიღბები, ჩაფხუტები და ხელთათმანები. მასალების მოგროვებისას გაითვალისწინეთ საფრთხისა და გადასატანი ექსპონატების სპეციფიკა.

იხილეთ დანართი (გვ. 51), სადაც ჩამოთვლილია ის მასალები, რომლებიც შესაძლოა დაგჭირდეთ კულტურული მემკვიდრეობის მასალებთან მოპყრობის, მათი შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის.

7 მოამზადეთ სამუშაო სივრცე



გამოყავით სამუშაო ადგილი ან ცარიელი ოთახი, სადაც მოხდება ექსპონატების დოკუმენტირება და შეფუთვა. ადგილზე უნდა ეტეოდეს მინიმუმ ორი დიდი მაგიდა და იქვე უნდა იყოს სივრცე, სადაც შეინახავთ შესაფუთ მასალებსა და სხვა საჭირო მარაგებს.

8 უზრუნველყავით უსაფრთხო ტრანსპორტირება

დაადგინეთ, რომელია დაცულ ახალ ტერიტორიამდე ობიექტების ტრანსპორტირებისათვის ყველაზე უსაფრთხო გზა. სამუშაო განრიგში აუცილებლად გაითვალისწინეთ უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის საჭირო დრო.

დოკუმენტირება, შეფუთვა და გატანა

1. წესრიგში მოიყვანეთ მასალები;
2. შეავსეთ საგანგებო ევაკუაციის უწყისი;
3. მოამზადეთ სამუშაო სივრცე;
4. შეფუთეთ საგნები;
5. მოახდინეთ მარკირება, მონიტორინგი და გატანა;
6. გადაამოწმეთ.



1 წესრიგში მოიყვანეთ მასალები

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გუნდმა უნდა მოაგროვოს ყველა საჭირო მასალა და დაიწყოს ოპერაცია.

2 შეავსეთ საგანგებო ევაკუაციის უწყისი

საევაკუაციოდ გამზადებული საგნების ფიზიკური ადგილმდებარეობების ჩანიშვნისა და მათი ეტიკეტირების შემდეგ (გვ. 20) დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელ ქვეჯგუფს შეუძლია შეავსოს უწყისი, რომელიც სპეციალურად ევაკუაციისათვის შეიქმნა (გვ. 22).

3 მოამზადეთ სამუშაო სივრცე

ვიდრე დოკუმენტირებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი უწყისს ავსებს, შეფუთვაზე და ნივთების მიმართ სწორ მოპყრობაზე პასუხისმგებელ ქვეჯგუფს პარალელურად შეუძლია დაიწყოს სამუშაო სივრცის მომზადება (გვ. 19).



4 შეფუთეთ საგნები



მას შემდეგ, რაც ყველა საევაკუაციო საგანი აღრიცხულია უწყისში, გადაიტანეთ ისინი წინასწარ მომზადებულ სამუშაო სივრცეში და დაიწყეთ მათი შეფუთვა. დარწმუნდით, რომ შევსებული უწყისის ასლი ერთვის მათ.

კულტურული მემკვიდრეობის საგნებთან მოპყრობისას გასათვალისწინებელი რჩევები

ვიდრე რომელიმე საგანს შეეხებოდეთ, დარწმუნდით, რომ ხელები სუფთა და მშრალი გაქვთ. ხელების სისუფთავე და სიმშრალე შეინარჩუნეთ მთლიანი პროცესის განმავლობაში.

1. დამტვერილ ან დაბინძურებულ საგნებთან მოპყრობისას გამოიყენეთ ნიტრილის ან ვინილის ხელთათმანები;
2. იმისათვის, რომ ნახატებზე, ფოტოებზე ან პრიალა ზედაპირის მქონე საგნებზე არ დაეტყოს თითის ანაბეჭდები, ყოველთვის გეცვათ ხელთათმანები;
3. თუ საგნები მტვრიან ადგილას ინახება, სახეზე გაიკეთეთ დამცავი ნიღაბი;
4. თუ ხელთათმანები გაცვიათ, დარწმუნდით, რომ თქვენი ზომაა და ხელზე კარგად გაქვთ მორგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, უნებლიეთ დააზიანოთ ან დაგივარდეთ ექსპონატი;
5. როგორც კი ხელთათმანი დაისვრება, მაშინვე გამოიცვალეთ, რათა ერთი საგნის ჭუჭყი სხვა საგნებზე არ გადაიტანოთ;
6. ექსპონატთან მოპყრობისას დარწმუნდით იმაში, რომ თქვენი ტანსაცმელი ან აქსესუარი, მაგ. სამკაული არ გამოედება ან გაფხაჭნის ექსპონატს;
7. ვიდრე ექსპონატებს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაიტანდეთ, მოძებნეთ თავისუფალი გზა, რომელზეც არცერთი წინაღობა არ გხვდებათ და არ დგას ავეჯი;
8. მოცულობითი ან მძიმე ექსპონატების გადატანისას ყოველთვის დაიხმარეთ სხვები და რომელიმე წევრს დაავალეთ კარის გაღება;
9. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსხვრევა ან სხვა უსიამოვნო შემთხვევა, ძალიან ბევრ ექსპონატს ერთდროულად ნუ გაიტანთ.

10 საგნების გადასატანად გამოიყენეთ კონტეინერები, ყუთები ან ლანგრები;

11 დიდ მანძილზე გადასატანად გამოიყენეთ ურიკა, თუ ეს შესაძლებელია.

12 საგნები არ აიღოთ თავიანთ სახელურებზე ან (ჭურჭლის) ყელზე ხელის მოკიდებით.

13 ექსპონატები ყოველთვის ორივე ხელით დაიკავეთ. იმისათვის, რომ სიმძიმე გადანაწილდეს, ცალი ხელი საგნის ძირს ქვემოდან მოკიდეთ, ხოლო მეორე ხელი – გვერდიდან.

14 ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების, დოკუმენტების ან მცენარეული მასალის საგნების, როგორიცაა პაპირუსი, გადაადგილებისას, გამოიყენთ მტკიცე საყრდენი, მაგალითად მუყაო. ტრანსპორტირებისას ნამუშევრის საყრდენზე უმოძრაოდ დაფიქსირების მიზნით, ზემოდან მეორე მყარი მასალა დააფარეთ.

15 მტვრევადი საგნები ყოველთვის შესაბამისი ზომის ყუთით გადაიტანეთ, მასში ჩააფინეთ რბილი მასალა, რათა ბიძგების დროს არ დაზიანდეს.

16 ბასრპირიანი ან კუთხეებიანი საგნების გადატანისას (თუ შესაძლებელია) დააფარეთ მას ქსოვილი, ქაღალდი ან ბუშტებიანი შესაფუთი მასალა, რათა სხვა ექსპონატები არ დაზიანდეს.

17 ვიდრე ექსპონატს გადააადგილებდეთ, საიმედოდ დააფიქსირეთ მისი დაუმაგრებელი ან მოსახსნელი ნაწილები. ასე თავიდან აირიდებთ დაზიანების ან მოპარვის რისკს.

გასათვალისწინებელი რჩევები კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატების შეფუთვის დროს

1 არასწორმა შეფუთვამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ექსპონატს. ჩვეულებრივ, ყველა ასეთი საგანი სიძველისა და წარსულში სარგებლობის გამო ძალიან მყიფეა. ამრიგად, საგანგებო ევაკუაციის დროს ექსპონატების შეფუთვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მნიშვნელოვანი რჩევები:

- გამოყენებული შესაფუთი მასალა უნდა იცავდეს საგნის ზედაპირს და ასევე იცავდეს მას ზეწოლისგან, რყევისგან, მტვრისგან, დამაბინძურებული ნივთიერებებისა და მკვეთრი ვიბრაციისგან შენობის გარე პირობებში.
- ზეწოლისა და საგნის დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად შესაფუთი მასალა უნდა შეესაბამებოდეს საგნის ფორმასა და ზომას.
- შეფუთული ექსპონატის ამოცნობა ადვილი შესაძლებელი უნდა იყოს. ეს ხელს შეგიწყობთ გადატანის დროს.

2 შესაბამისი შესაფუთი მასალის შესარჩევად დაადგინეთ, რა მასალისაგან არის დამზადებული საევაკუაციოდ მომზადებული საგანი. მაგალითად, თუ საგანი ქსოვილისაგან ან ქაღალდისაგან არის დამზადებული, ის არ უნდა მოთავსდეს ისეთ კონტეინერში, რომელიც მჟავას გამოყოფს (ახალი ხისაგან ან ფანერისაგან დამზადებული კონტეინერი);

3 ხელთ არსებული მარაგიდან ამოარჩიეთ საუკეთესო ხარისხის შესაფუთი მასალა, რომელიც უშუალოდ შეეხება ექსპონატს. გაუხამებელი ბამბის ნაჭერი ან მიტკალი, რომელიც არ არის შეღებილი, თავისუფლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ორგანული და არაორგანული მასალებისაგან დამზადებული თითქმის ყველა ექსპონატის შესაფუთად;

4 შესაფუთი მასალის მოგროვებისას ისეთი მასალები მოიმარაგეთ, რომელსაც სხვა დანიშნულებითაც გამოიყენებთ. ასე ხარჯებსაც დაზოგავთ და რესურსებსაც უფრო ეფექტურად გამოიყენებთ;

5 ექსპონატების შეფუთვისას ისეთი ყუთები გამოიყენეთ, რომელსაც თავსახური ეხურება და სათანადოდ მყარია იმისათვის, რომ ყუთების ერთმანეთზე დაწყობის დროს არ დაზიანდეს;

6 თუ მეორეულ ყუთებს ან კონტეინერებს იყენებთ, დარწმუნდით, რომ მასში არ არის ბოსტნეულის ნარჩენები, პარაზიტები ან ქიმიური საშუალებების ნარჩენები;

7 მსგავსი მასალისაგან გაკეთებული საგნები შეგიძლიათ ერთად მოათავსოთ, მაგრამ გამყოფებისა და დამარბილებლების ჩართვა მაინც საჭიროა, რათა ექსპონატები ერთმანეთს არ შეეხოს;

8 ერთსა და იმავე შესაფუთ ყუთში/კონტეინერში მსუბუქ და მძიმე საგნებს ერთად ნუ მოათავსებთ. ტრანსპორტირებისას მძიმე საგანი შესაძლოა, მსუბუქ საგანს მოხვდეს და დააზიანოს;

9 როდესაც ექსპონატს შესაფუთ ყუთში მოათავსებთ, ცარიელი ადგილები ამოავსეთ რბილი მასალით. ასე საგნები ყუთში არ იმოძრავებს და ზეწოლისაგანაც დაცული იქნება;

10 მნიშვნელოვანი დოკუმენტების, ქაღალდზე ან პაპირუსზე შესრულებული ხელოვნების ნიმუშების შესაფუთად გამოიყენეთ ბრტყელი ყუთები. თუ ასეთი ყუთი არ გაქვთ, შეახვიეთ მაღალი ხარისხის ქაღალდით (მაგალითად, ბამბის ქსოვილის ნაკუწებისგან დამზადებული ქაღალდით) და მოათავსეთ ის ორ მყარ ზედაპირს შორის;

11 ქაღალდზე შესრულებული რამდენიმე ნამუშევრის შეფუთვისას გამყოფებად გამოიყენეთ მაღალი ხარისხის სუფთა ფურცლები. ამგვარად თავიდან აიცილებთ ერთი საგნიდან მეორეზე მელნისა თუ ფერის გადასვლას;

12 წიგნის ფორმისა და სტრუქტურის შესანარჩუნებლად გაახვიეთ წიგნი მაღალი ხარისხის ქაღალდში, შემდგომ ყუთში ისე ჩადეთ, რომ წიგნის ყდის ყუა ქვედა მხარეს მოექცეს;

13 დიდი და უჩარჩოო ხელოვნების ნიმუშების შესანახად, რომელიც ქაღალდზე ან ქსოვილზეა შესრულებული, გამოიყენეთ საარქივო ტუბი ნახატებისათვის. დაახვიეთ ნამუშევარი ტუბზე ისე, რომ წინა მხარე გარედან მოექცეს, შემდეგ შემოახვიეთ მიტკალი ან მაღალი ხარისხის ქაღალდი. თუ საარქივო ტუბი ნახატებისათვის არ არის ხელმისაწვდომი, აიღეთ სქელი მუყაოს მილი და მასზე შემოახვიეთ მიტკალი ან მაღალი ხარისხის ქაღალდი, შემდეგ მასზე დაახვიეთ ექსპონატი. მიაქციეთ ყურადღება, რომ მილი დიდი დიამეტრის იყოს, რომ ნამუშევარი არ დაიჭმუჭნოს;

14 ექსპონატები, რომლებიც დამზადებულია ისეთი მსხვრევადი მასალისგან, როგორიცაა: მინა, ფაიფური და თიხა, ჯერ ცალკე ჩადეთ ცელოფანის პარკში და შემდეგ – დიდ კონტეინერში. ერთმანეთთან შეხებისგან რომ არ დაზიანდეს, კონტეინერში დაურთეთ გამყოფები და რბილი იზოლატორები;



15 საგანგებო სიტუაციის დროს სწორად რომ მოხდეს ექსპონატების შეფუთვა, იმუშავეთ ე. წ. კონვეიერის პრინციპით. საქმე ისე გაანაწილეთ, რომ ერთმა ადამიანმა შეფუთოს ექსპონატები, მეორემ მოამზადოს კონტეინერები, ხოლო მესამემ კი მიამაგროს მათ შესაბამისი ეტიკეტი უნიკალური ნომრით და მოათავსოს კონტეინერში;

16 გადაამოწმეთ, რომ ყველა კონტეინერს ეწეროს ინფორმაცია მასში მოთავსებული საგნების ტიპისა და რაოდენობის შესახებ;

17 იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ყუთების არასწორად აწევა და გატანა, მათზე დაიტანეთ ნიშნები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ტვირთებზე (იხილეთ ილუსტრაცია). ეს ნიშნები მიგვითითებს, რომ საგანი არის მსხვრევადი, საგნის ზედა და ქვედა მხარეს, რომ არის მოსაფრთხილებელი და არ შეიძლება მისი ამოტრიალება.

5 მოახდინეთ მარკირება, მონიტორინგი და გატანა



საგნების შეფუთვისას, დარწმუნდით, რომ ადგილზეა ყველა ეტიკეტი, რომელზეც საიდენტიფიკაციო კოდია დატანილი. კოდი შეფუთვის საყრდენ მასალაზეც უნდა იყოს დატანილი.



დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი გუნდის ერთმა ან მეტმა წევრმა უნდა გააკონტროლოს სხვადასხვა ყუთში ექსპონატების განლაგება. ამისათვის დაგჭირდებათ ექსპონატების გადაადგილების მონიტორინგისათვის შექმნილი მარტივი ფორმა, რომელშიც შემდეგი დასახელების გრაფები იქნება. ამგვარი ფორმის რამდენიმე ასლი გქონდეთ ამობეჭდილი.

ექსპონატების გადაადგილების მონიტორინგის ფორმა

ნუმერაცია	ყუთის ნომერი	ყუთში მოთავსებული საგნების რაოდენობა	მოპყრობისა და ტრანსპორტირების ინსტრუქცია	ჩამბარებელი	ჩაბარების თარიღი	კურიერის, მანქანის ნომერი	მიღების თარიღი	ყუთის ნომერი	ყუთში მოთავსებული საგნების რაოდენობა	მიმღები
1	*12*	*20*	*მინა. ფრთხილად მოეპყარით*	*აბდელ ჰამიდი, კურატორი*	*25 იანვარი*	*xxx256*	*25 იანვარი*	*12*	*20*	*საწყობის კურატორი*
...	...	...	...	...	...	...	...	...	...	...

შენიშვნა: ბოლო ოთხი გრაფა ივსება დროებითი საცავის პასუხისმგებელი პირის მიერ.

6 გადაამოწმეთ

მას შემდეგ, რაც ყველა ექსპონატი ჩალაგებულია, შესაძლებელია მათი ტრანსპორტირება უფრო დაცულ ადგილას. ყოველი ტვირთის ნაკრებს უნდა ახლდეს უწყისი და გაგზავნის ფორმა, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი.



გადაადგილება და შენახვა

1. მოამზადეთ საცავი;
2. დაახარისხეთ ექსპონატები;
3. დააფიქსირეთ ექსპონატის ახალი ადგილმდებარეობა;
4. დაიცავით უსაფრთხოება;
5. ანგარიშგება;
6. მეთვალყურეობა.



1 მოამზადეთ საცავი

ვიდრე ერთი ჯგუფი ექსპონატების დოკუმენტაციის შედგენითა და შეფუთვით არის დაკავებული, მეორე ჯგუფმა უნდა მოამზადოს ახალი დროებითი საცავი, რაც გულისხმობს საცავის სანიტარული მდგომარეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას (გვ. 14). ასევე მზად უნდა იყოს ექსპონატების ადგილმდებარეობის კოდირების სისტემა.

სწორედ ამ დროს შეგიძლიათ ერთად მოიფიქროთ, თუ როგორ აჯობებს განლაგდეს ექსპონატები ახალ საცავში.

შეიტანეთ ხელთ არსებული ავეჯი, კარადებზე და თაროებზე დაიტანეთ შესაბამისი ადგილმდებარეობის კოდები, რათა შემდგომ აღნიშნოთ ექსპონატების შენახვის ახალი ადგილები. ეს სამუშაო ექსპონატების მოტანამდე უნდა შესრულდეს.

საგანგებო ევაკუაციის დროს შესაძლოა, ვერ მოხერხდეს შესაბამისი ავეჯისა და თაროების მომარაგება, ასეთ შემთხვევაში ექსპონატები თავისივე შეფუთვით განალაგეთ იატაკზე. გამოიყენეთ წყალგაუმტარი ბრეზენტი ან ტვირთის ქვესადგამი, რათა ყუთები უშუალოდ იატაკს არ ეხებოდეს. თუ ხის ქვესადგამებს იყენებთ, შეამოწმეთ, რომ პარაზიტებისაგან გასუფთავებულია.



რჩევა: როგორ მოვამზადოთ ადგილმდებარეობათა კოდების სისტემა დროებით საცავში?

იმისათვის, რომ მოვამზადოთ ერთიანი სისტემა ადგილმდებარეობათა კოდირებისთვის, შეგიძლიათ წებოვანი ლენტით, თოკით ან საღებავით იატაკზე დახაზოთ ბადე.

დაყავით იატაკი შესაბამისი ზომის, მაგალითად თითო მეტრის სიგრძის კვადრატებად. ერთმანეთისაგან რომ განასხვაოთ მწკრივები და სვეტები, კედლებზე აღნიშნეთ რიცხვები და ანბანის ასოები.

.



მას შემდეგ, რაც ექსპონატები დახარისხებულია და შესაბამის ადგილებზე გადანაწილებული, შემდეგნაირად ჩაიწერეთ საგნების ადგილმდებარეობის სრული კოდები: მაგ.: ა. ს. (ახალი საცავი), 0 (ცოკოლის სართული), 1 (ოთახის ნომერი), 3A (ექსპონატის ადგილმდებარეობა), 128 (მინიჭებული უნიკალური კოდი). (გვ. 20).

2 დაახარისხეთ ექსპონატები

მას შემდეგ, რაც ახალ საცავში ექსპონატებს ოფიციალურად ჩაიბარებთ (გვ. 40), შეამოწმეთ საევაკუაციო უწყისი და დაახარისხეთ საგნები მასალის, ტიპისა და ზომის მიხედვით. ყველა საგანი თავისივე შეფუთვით მოათავსეთ თაროებზე, დეზინფიცირებულ ქვესადგამებზე ან სხვა არსებულ ავეჯზე. შეეცადეთ, რომ მსხვრევადი ექსპონატები იატაკზე არ განალაგოთ და რაც შეიძლება მოშორებით, ოთახის კიდეში დააწყვეთ. მოცულობითი და მძიმე საგნებიც ოთახის ერთ მხარეს დაალაგეთ, რომ დანარჩენი სივრცე მცირე ზომის ექსპონატებისა და მოძრაობისათვის გამოიყენოთ.

3 დააფიქსირეთ ექსპონატის ახალი ადგილმდებარეობა



იმისათვის, რომ თითოეული საგნის ახალი, დროებითი ფიზიკური ადგილმდებარეობა დააფიქსიროთ, უწყისის გრაფაში, სახელად „ახალი ადგილმდებარეობა“, შეიტანეთ მისი ყუთისა და თაროს ნომერი.

4 დაიცავით უსაფრთხოება

ახალ, დროებით საცავში მიიღეთ საჭირო უსაფრთხოების ზომები, რათა თავიდან აიცილოთ ძარცვა და ვანდალიზმი. თუ საჭირო გახდა, დააყენეთ დაცვა.

ფრთხილად: მიმდინარე კონფლიქტის დროს მუდმივად აკონტროლეთ სიტუაცია უსაფრთხოების მხრივ, რათა საჭიროების შემთხვევაში საკმარისი დრო გქონდეთ ექსპონატების ხელახალი გადაადგილებისათვის.

5 ანგარიშგება

ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს მიაწოდეთ განახლებული უწყისი, რომელშიც ექსპონატების ახალი ადგილმდებარეობა იქნება მითითებული.

6 მეთვალყურეობა

რეგულარულად შეამოწმეთ და დაასუფთავეთ ახალი საცავი, რათა თავიდან აიცილოთ პარაზიტები, ცეცხლი, წყალი და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც ექსპონატებს დააზიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა

შეფუთვა და გადაზიდვა

Bendix, C. 2013. Moving Collections. ლონდონი. პრეზერვაციის საკონსულტაციო ცენტრი. ბრიტანეთის ბიბლიოთეკა. ბმული: http://www.bl.uk/aboutus/stratpolprog/collectioncare/publications/booklets/moving_library_and_archive_collections.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/35Z6-HCPL

მემკვიდრეობის კოლექციების საბჭო. 1998. reCollections: caring for collections across Australia. Handling, Transportation, Storage and Display. კანბერა. მემკვიდრეობის კოლექციების საბჭო. ბმული: https://aiccm.org.au/sites/default/files/docs/reCollections/6_htsd.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/6HNW-HAKW

ლონდონის მუზეუმი. 2013. Assessing the Object: What is the object made from? ბმული: http://www.museumoflondon.org.uk/Resources/e-learning/packing-museum-objects-for-storage/s03p01.html [ნანახია 2015 წლის 30 დეკემბერს].

Shelley, M. 1987. The Care and Handling of Art Objects: Practices in the Metropolitan Museum Museum of Art. ნიუ იორკი. მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი. ბმული: http://www.metmuseum.org/research/metpublications/The_Care_and_Handling_of_Art_Objects_Practices_in_The_Metropolitan_Museum_of_Art [ნანახია 2015 წლის 16 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/2DZP-L7QW

Stolow, N.1981. Procedures and conservation standards for museum collections in transit and on exhibition. Protection of the Cultural Heritage: Technical Handbooks for Museums and Monuments. 3. პარიზი, UNESCO. ბმული: http://unesdoc.unesco.org/images/0004/000468/046862eo.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/MWK8-HZRE

UNESCO. 2006a. Care and Handling of Manuscripts. Cultural Heritage Protection Handbook, No.2. პარიზი, UNESCO. ბმული: http://unesdoc.unesco.org/images/0014/001484/148463E.pdf [ნანახია, 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/QPQ5-XPW5

UNESCO. 2006 b. Handling of Collections in Storage. Cultural Heritage Protection Handbook No.5. პარიზი/UNESCO. ბმული: http://unesdoc.unesco.org/images/0018/001879/187931E.pdf [ნანახია, 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/AD26-63WK

კოლექციების ტრანსპორტირება

Heritage Collections Council. 1998. reCollections: caring for col-lections across Australia. Handling, Transportation, Storage and Display. კანბერა, Heritage Collections Council. ბმული: https://aiccm.org.au/sites/default/files/docs/reCollections/6_htsd.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/6HNW-HAKW

Stolow, N. 1981. Procedures and conservation standards for museum collections in transit and on exhibition. Protection of the Cultural Heritage: Technical Handbooks for Museums and Monuments 3. პარიზი, UNESCO. ბმული: http://unesdoc.unesco.org/images/0004/000468/046862eo.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/MWK8-HZRE

საცავის მოწყობა

კანადის კონსერვაციის ინსტიტუტი. 2002. General Precautions for Storage Areas. CCI Notes 1/1. ოტავა. ბმული: http://cci-icc.gc.ca/resources-ressources/cci-notesicc/1-1_e.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/2JJ3-897G

Johnson, E.V. & Horgan, J.C. 1979. Museum collection storage. Protection of the Cultural Heritage: Technical Handbooks for Museums and Monuments 2. პარიზი, UNESCO. ბმული: http://unesdoc.unesco.org/images/0004/000423/042316eo.pdf [ნანახია 2015 წლის 9 დეკემბერს].

მუდმივი ბმული: https://perma.cc/R33E-CA8N

დანართი

საგანგებო სიტუაციის დროს კოლექციების ევაკუაციისას გამოსაყენებელი მასალები და აღჭურვილობა

დამცავი აღჭურვილობა

- **პირბადეები**: გამოიყენეთ პირბადეები, რათა დაიცვათ თავი მტვრისა და ჰაერში არსებული სხვა ნაწილაკების შესუნთქვისაგან. თუ საგნები ქიმიური საშუალებებით არის დაფარული, გამოიყენეთ ფილტრიანი პირბადეები.
- **ხელთათმანები**: ბამბის, ნიტრილის ან ლატექსის ხელთათმანები გამოიყენეთ ექსპონატებთან შეხების დროს. გაითვალისწინეთ, რომ ლატექსის ხელთათმანებმა შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.
- **დამცავი სათვალე**: თუ მტვრიან ან სხვაგვარად დაბინძურებულ გარემოში გიწევთ მუშაობა, გაიკეთეთ დამცავი სათვალე.
- **დამცავი ჩაფხუტები**: თუ სამუშაო სივრცეში შესაძლოა ჩამოცვივდეს სხვადასხვა ტიპის საგნები/ნაშალი, თავის დასაცავად დაიხურეთ ჩაფხუტი.
- **წინსაფრები/თეთრი ხალათები**: გამოიყენეთ ბამბისაგან, ტილოსაგან ან ბამბის პოლიესტერისაგან დამზადებული წინსაფრები ან თეთრი ხალათები, რათა საგნების შეფუთვის დროს თქვენი ტანსაცმელი დაიცვათ მომწამვლელი ნივთიერებებისაგან.
- **მაღალი ხილვადობის ქურთუკები**: იმ შემთხვევაში, თუ სიბნელეში გიწევთ მუშაობა ან გსურთ ადვილად გამოარჩიოთ თქვენი გუნდის წევრები, გამოიყენეთ ქურთუკები ამრეკლავი ან ფერადი ზოლით, რომელიც შორიდან ჩანს. ასეთივე ქურთუკები საგანგებო რეაგირების ჯგუფის წევრებს აცვით.
- **პირველადი დახმარების ყუთი**: გუნდისათვის თან იქონიეთ პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების ნაკრები. მასშივე იქონიეთ სასმელი წყალი, ფანარი და სათადარიგო ელემენტები.

შენიშვნა: მიმდინარე კონფლიქტის ზონებში მუშაობისას შესაძლოა, დამატებითი დამცავი აღჭურვილობაც დაგჭირდეთ. მაგალითად: ტყვიაგაუმტარი ჟილეტი, აირწინაღი და სხვ.

დოკუმენტირებისათვის

1. ფოტო კამერა (სათადარიგო ელემენტებით) ფოტო დოკუმენტაციისათვის;
2. ბლოკნოტი და სახატავი რვეული;
3. კალმები და ფანქრები;
4. ქსოვილის ლენტი შეფუთვისათვის და ეტიკეტების მისამაგრებლად;
5. მისაწებებელი ეტიკეტები. გამოიყენება შეფუთვის მყარ ნაწილზე მისაკრობად, რომელზეც დაიწერება ექსპონატის საიდენტიფიკაციო კოდი. ასეთი ეკტიკეტების ექსპონატის ზედაპირზე დაწებება არ შეიძლება.

შეფუთვისათვის

აქ ჩამოთვლილია ადვილად ხელმისაწვდომი მასალები, თუმცა საგანგებო სიტუაციის დროს, ზოგიერთი მასალის დიდი რაოდენობით შესყიდვა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო ხარისხის მასალა გამოიყენეთ უშუალოდ ექსპონატის შესაფუთად. მაგალითად, ბამბის ან მიტკლის ნაჭრით შეახვიეთ ექსპონატი და შემდეგ ჩადეთ მუყაოს ყუთში.

1

- **მიტკალი [1]**: გაუხამებელი მიტკალი ან ბამბის ნაჭერი შეგიძლიათ გამოიყენოთ საგნების შესაფუთად და კონტეინერში დარბილებისათვის;
- **ჩვრის ქაღალდი [2]**: ქაღალდი, რომელიც გაკეთებულია ბამბის ან ტილოს ნაკუწებისაგან, არ შეიცავს მჟავას და ადვილად ხელმისაწვდომია. ამით შესაძლებელია ქაღალდზე და ქსოვილზე შესრულებული ნამუშევრების შეფუთვა;

2

- **პოლიესტერის ფირფიტა**: გამჭვირვალე, უფერული ფირფიტები, ფოტოებისა და სხვა დოკუმენტების შესანახად. ხშირად იყიდება შემდეგი დასახელებებით: Mylar ან Melinex;
- **Tyvek (პოლიეთილენის ნაჭერი)**: სინთეტიკური მასალა, რომელიც სქელი პოლიეთილენის ბოჭკოსაგან არის დამზადებული. გამოიყენება წყალგაუმტარი გადასაფარებლებისათვის. ხშირად იყენებენ შენობების დასაცავად მშენებლობის დროს;
- **წყალგაუმტარი ბრეზენტი;**

3

- **პოლიეთილენის ქაფი [3]**: ხშირად იყიდება დასახელებით Ethafoam. პოლიეთილენის ქაფი გამოიყენება კონტეინერში ცარიელი სივრცის შესავსებად, ადვილად შესაძლებელია დაიჭრას საჭირო ფორმის ნაჭრებად, რათა ექსპონატები დაიცვას ზეწოლისაგან;

4

- **ბუშტებიანი შესაფუთი პარკი [4]**: დროებითი გამოყენებისათვის შესაძლებელია, ბუშტებიანი შესაფუთი პარკი გამოიყენოთ ექსპონატების დასაცავად, ზეწოლისაგან, თუმცა ის ბუშტების მხრიდან უშუალოდ არ უნდა ეხებოდეს ექსპონატს;
- **ბალიშები**: ჩვეულებრივი ბალიშები შეგიძლიათ გამოიყენოთ მსხვრევადი ნივთების შესაფუთად;
- **პირსახოცები**: თეთრი ბამბის პირსახოცები შეიძლება გამოიყენოთ კონტეინერში ჩასაფენად სირბილისათვის;

5

- **პოლიეთილენის პარკები**: პოლიეთილენის პარკი, რომელიც საკვებისათვის გამოიყენება, შეიძლება გამოიყენოთ მსხვრევადი ან პატარა საგნების შესანახად;
- **მუყაოს ყუთები [5]**: ჩვეულებრივი მუყაოს ყუთები გამოიყენება კონტეინერებად. თუმცა დროთა განმავლობაში ისინი გამოყოფენ მჟავის შემცველ აქროლად ნივთიერებას, რამაც შეიძლება დააზიანოს ექსპონატი. იმისათვის, რომ დაიცვათ მასში მოთავსებული საგანი, დაუფინეთ გაუხამებული მიტკალი, ქაღალდი ან შეუღებავი ბამბის ნაჭერი;
- **ხისაგან გაკეთებული ხილის შესაფუთი ყუთი**: ისინი ხშირად დაბალი ხარისხის ხისაგან კეთდება. ასეთი ყუთებით შესაძლებელია არაორგანული მასალების ტრანსპორტირება, მაგალითად: ქვის ან თიხის. თუმცა მასში უნდა ჩაეფინოს ბამბის ნაჭერი ან ქაღალდი. ასეთი ყუთებით მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის შეიძლება ვისარგებლოთ;

6

- **პლასტმასის კონტეინერები [6]**: საკვების შესანახი გამჭვირვალე პლასტმასის კონტეინერები შეგიძლიათ გამოიყენოთ მსხვრევადი ან პატარა საგნების შესანახად;
- **პლასტმასის ყუთები**: ისინი ხშირად გამოიყენება რძის ყუთების, ბოსტნეულის ან ხილის ტრანსპორტირებისათვის. ასეთი ყუთები საგნების გადასაზიდად და დროებით შესანახად შეიძლება გამოიყენოთ;
- **პლასტმასის ლანგრები**: გამოიყენება მუზეუმებში და არქივებში. ბრტყელი პოლიეთილენის ლანგრები

შეიძლება გამოიყენოთ საგნების დაცულად შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის;

- ქაღალდის დასახვევი ტუბი: ფართო დიამეტრის მილი, რომელსაც იყენებენ ტილოზე, ქსოვილზე ან ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრების შესანახად.
- ქვესადგამები [7]: პლასტმასის ან ხის ქვესადგამები შეიძლება გამოიყენოთ ყუთების ქვეშ დასადებად, რათა უშუალოდ მიწას არ შეეხოს ყუთი. ხის სადგამების გამოყენებისას მიაქციეთ ყურადღება, რომ მასში არ ბუდობდეს რაიმე სახის მწერი, დაფარული იყოს პოლიესტერის ფირფიტით ან ტაივეკით (Tyvek), რათა პირდაპირ არ შეეხოს ყუთებს.

7

სხვა საჭირო მასალებია:

- მაკრატელი;
- ბაწარი;
- სახაზავი;
- საზომი ლენტი;
- სათლი;
- კიბე;
- ბორბლიანი კალათა (მაღაზიის ურიკა);
- სატვირთო ურიკა;
- ურიკა.

გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერებისა
და კულტურის ორგანიზაცია

7, place de Fontenoy
75352 Paris 07 SP France
Telephone: +33 (0)1 4568 1000
www.unesco.org

კულტურულ ფასეულობათა
დაცვისა და რესტავრაციის
კვლევის საერთაშორისო ცენტრი

Via di San Michele 13
I-00153 Rome, Italy
Telephone: +39-06585531
Fax: +39-0658553349
iccrom@iccrom.org
www.iccrom.org

ლურჯი ფარის
საქართველოს
ეროვნული კომიტეტი

ISBN 9789230000523